GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

31 Temmuz /ივლისი 2025

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 704.5	9 141.4	9.4 %	13.9 %	4.0 %

Gürcistan Ekonomi Bakanı T.C. Enerji ve Tabii Kaynaklar Bakanı ile Bir Araya Geldi

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს შეხვდა

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Mariam Kvrivishvili, çalışma ziyareti kapsamında T.C. Enerji ve Tabii Kaynaklar Bakanı Alparslan Bayraktar ile bir araya gelerek enerji sektöründe iki ülke arasındaki iş birliğinin öncelikli alanlarını değerlendirdi.

Kvrivishvili'nin değerlendirmesine göre, görüşme oldukça verimli geçmiştir, iki ülke arasında mevcut dostane ve stratejik ortaklık ilişkilerinin daha da derinleştirilmesi imkanları üzerine istişarede bulunuldu.

Bakanlar görüşmesinde, enerji sektörünün Gürcistan ile Türkiye arasındaki ekonomik iş birliğinin başlıca alanlarından biri olduğu vurgulandı. Mariam Kvrivishvili, Gürcistan'ın yeşil enerji alanında Türk yatırımcılarla yürüttüğü verimli iş birliğinin altını çizdi - son beş yıl içinde, Türk şirketleri tarafından Gürcistan enerji sektörüne yapılan yatırımlar 150 milyon ABD dolarını aşmıştır. Bakanın ifade ettiği üzere, bu alanda Gürcistan ile Türkiye arasında daha geniş iş birliği potansiyeli bulunmaktadır.

ARKAS EFES LC WAIKIKI İŞBANK MAQRO nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

Kvrivishvili "İki ülke arasındaki elektrik iletim kapasitesinin artırılmasına katkı sağlayacak mevcut elektrik iletim hatlarının ortak bir plan ve takvim çerçevesinde geliştirileceğine dair yeni planlar belirledik. Elbette bu durum, ülkelerimiz arasındaki ticaret imkanlarını güçlendirecek; Gürcistan hem transit geçiş hem de ihracat göstergelerini geliştirme fırsatı elde edecektir," şeklinde konuştu.

Halihazırda Gürcistan ile Türkiye'yi enerji açısından birbirine bağlayan 400 kilovoltluk "Meskheti" elektrik iletim hattı üzerinden iki ülkenin enerji sistemleri arasında ithalat ve ihracat gerçekleştirilmektedir.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი მარიამ ქვრივიშვილი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში თურქეთის რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ ალპარსლან ბაირაქტარს შეხვდა და მასთან ენერგეტიკის სექტორში ორი ქვეყნის თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა.

მარიამ ქვრივიშვილის შეფასებით, შეხვედრა ძალიან ნაყოფიერი იყო, შედგა მსჯელობა ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობებზე.

ორი ქვეყნის მინისტრების შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ენერგეტიკა საქართველოსა და თურქეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. მარიამ ქვრივიშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოს ნაყოფიერ თანამშრომლობას თურქ ინვესტორებთან მწვანე ენერგიის სფეროში - მხოლოდ გასული 5 წლის განმავლობაში, თურქული კომპანიების მიერ საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციები 150 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა აღნიშნა, ამ მიმართულებით საქართველოსა და თურქეთს თანამშრომლობის კიდევ უფრო დიდი პოტენციალი აქვთ.

„დავსახეთ ახალი გეგმები, თუ როგორ განვავითაროთ საერთო გეგმა-გრაფიკით არსებული ელექტროგადამცემი ხაზები იმისთვის, რომ გაიზარდოს ორ ქვეყანას შორის ელექტროენერგიის გამტარობა. ეს, რა თქმა უნდა, გაამყარებს ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის შესაძლებლობას და საქართველო გააუმჯობესებს როგორც ტრანზიტის, ისე ექსპორტის მაჩვენებლებს", - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

ამჟამად საქართველოსა და თურქეთს ენერგეტიკულად 400-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი „მესხეთი" აკავშირებს, რომლის საშუალებითაც ორი ქვეყნის ენერგეტიკული სისტემები ექსპორტ-იმპორტს ახორციელებენ.

Mariam Kvrivishvili, Türk Hava Yolları Yönetim Kurulu ve İcra Komitesi Başkanı Ahmet Bolat ile bir araya geldi

მარიამ ქვრივიშვილი „თურქეთის ავიახაზების“ დირექტორთა საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს აჰმეთ ბოლათს შეხვდა

Görüşmede, Türk Hava Yolları'nın ve bağlı şirketi AJet'in Gürcistan'daki faaliyetleri ve geleceğe yönelik planları ele alındı.

Taraflar, Gürcistan'ın cazip bir turizm destinasyonu olarak tanıtılması amacıyla ortak pazarlama kampanyalarının yürütülme imkanlarını değerlendirdiler. Bu kampanyalar sayesinde mevcut uçuşlarla daha fazla ödeme gücüne sahip turistin ülkeye çekilmesinin mümkün olacağı ifade edildi.

Görüşmede, mevcut uçuş frekanslarının artırılmasının önemine de özellikle vurgu yapıldı. Bunun, ülkenin turizm ekonomisine doğrudan katkı sağlayacağı ve turizm gelirlerini artıracağı belirtildi. Ayrıca taraflar, Gürcistan ile Türkiye arasında yeni uçuş güzergahlarının eklenme ihtimalini de değerlenmişlerdir. Bu konuda müzakerelerin yakın gelecekte devam edeceği ifade edildi.

Mariam Kvrivishvili, Gürcistan havacılık sektöründeki mevcut eğilimler hakkında detaylı bilgi verdi. Bakan'ın açıklamasına göre, halihazırda Gürcistan'daki havalimanlarından yaklaşık 70'ten fazla havayolu şirketi 110 farklı rotada uçuşlar gerçekleştirmektedir ve yolcu akışı, sefer sayısı ve destinasyon çeşitliliği açısından rekor seviyelere ulaşılmıştır.

ARKAS EFES LC WAIKIKI İŞBANK MAQRO nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

Bakan Kvrivishvili, artan dinamikleri dikkate alarak Gürcistan hükümetinin havacılık altyapısına ek yatırım yapma kararı aldığını belirtti. Pist inşaatının tamamlanmasının ardından Kutaisi Havalimanı, büyük boyutlu uçakları kabul edebilecek kapasiteye ulaşacaktır. Ayrıca Tiflis'te, yıllık 20 milyon yolcu kapasiteli, tamamen yeni ve modern bir havalimanı inşa edilecektir.

Kvrivishvili "Amacımız, Gürcistan'a sadece bölgesel değil, küresel ölçekte en iyi havalimanlarından birini kazandırmak. Bu havalimanı, yüksek standartlarda yolcu ve kargo terminalleriyle donatılmış, transit ve lojistik bir merkez olacak ve önümüzdeki on yılların havacılık trendlerine ve yolcu taleplerine cevap verecektir," şeklinde konuştu.

Türk Hava Yolları, dünyanın önde gelen havayolu şirketlerinden biridir ve yaklaşık 130 ülkeye doğrudan uçuşlarını gerçekleştirmektedir. Günümüzde şirketin Gürcistan'a yönelik uçuş frekansları şu şekildedir:

İstanbul – Tiflis – İstanbul: Haftalık 35 sefer

İstanbul – Batum – İstanbul: Haftalık 14 sefer

Türk Hava Yolları, taşınan yolcu sayısıyla Gürcistan havacılık pazarının uzun yıllardır lider havayolu şirketidir.

მარიამ ქვრივიშვილი თურქეთის ავიაკომპანიის „თურქეთის ავიახაზების" დირექტორთა საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს აჰმეთ ბოლათს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი წარიმართა საქართველოში „თურქეთის ავიახაზებისა" და მისი შვილობილი კომპანიის AJet - ის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე.

მხარეებმა განიხილეს ერთობლივი მარკეტინგული კამპანიების ჩატარების შესაძლებლობა საქართველოს, როგორც საინტერესო ტურისტული მიმართულების ცნობადობის გაზრდისა და შედეგად, არსებული ფრენებით მეტი მსყიდველუნარიანი ტურისტის ჩამოყვანის შესახებ.

შეხვედრაზე ასევე ხაზი გაესვა არსებული ფრენების სიხშირეთა დამატების მნიშვნელობას, რაც დამატებით სტიმულს მისცემს როგორც უშუალოდ ქვეყნის ტურიზმის ეკონომიკას, ისე გაზრდის ტურიზმიდან შემოსავლებს. მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოსა და თურქეთს შორის ახალი მიმართულების დამატების შესაძლებლობა. აღინიშნა, რომ ამ მხრივ, მოლაპარაკება უახლოეს მომავალში გაგრძელდება.

ARKAS EFES LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

მარიამ ქვრივიშვილმა დეტალურად ისაუბრა ქვეყნის ავიაციაში არსებულ ტენდენციაზე. მისი თქმით, ამჟამად საქართველოს აეროპორტებიდან 70-მდე მეტი ავიაკომპანია 110 მიმართულებით ოპერირებს და რეკორდულია როგორც მგზავრთნაკადი, ისე სიხშირეები და მიმართულებები ქვეყნის აეროპორტებიდან.

მინისტრის თქმით, სწორედ ამ ზრდადი დინამიკის გათვალისწინებით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, დამატებითი ინვესტიცია ჩაედო ქვეყნის საავიაციო ინფრასტრუქტურაში - ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ქუთაისის აეროპორტი დიდი ზომის საჰაერო ხომალდების მიღებას შეძლებს, თბილისს კი სრულიად ახალი, თანამედროვე აეროპორტი ექნება, რომელიც გათვლილი იქნება 20 მლნ. მგზავრზე.

„ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს ჰქონდეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო აეროპორტი, რომელიც იქნება ასევე ტრანზიტურ-ლოჯისტიკური ცენტრი მაღალი დონის სამგზავრო თუ სატვირთო ტერმინალებით და უპასუხებს იმ საავიაციო ტენდენციებს და მგზავრთა მოთხოვნებს, რაც იქნება მომდევნო ათწლეულების განმავლობაში”, - აღნიშნა მარიამ ქვრივიშვილმა.

ავიკომპანია „თურქეთის ავიახაზები“ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გადამზიდი ავიაკომპანიაა, რომელიც პირდაპირ ფრენებს მსოფლიოს 130-მდე ქვეყნაში ახორციელებს. დღესდღეობით ავიაკომპანია შემდეგი სიხშირით დაფრინავს: სტამბული-თბილისი-სტამბული - 35 სიხშირე კვირაში; სტამბული-ბათუმი-სტამბული - 14 სიხშირე კვირაში. ავიაკომპანია გადაყვანილი მგზავრების მაჩვენებლით საქართველოს ავიაბაზარზე ლიდერი კომპანიაა წლების განმავლობაში.

Avrupa Birliği (AB) Komisyonu, Türk vatandaşları için çok girişli Schengen vizelerinin kolaylaştırılmasına yönelik yeni kuralları kabul etti

ევროკავშირი თურქეთის მოქალაქეებისთვის შესვლას ამარტივებს

Avrupa Birliği (AB) Komisyonu, Türk vatandaşları için devrim sayılabilecek bir anlaşmayı kabul etti.

Avrupa Birliği (AB) Komisyonu, 15 Temmuz 2025 tarihinde kabul ettiği kararla, seyahat geçmişi olan ve düşük risk profiline sahip Türk vatandaşları için kademeli şekilde çok girişli Schengen vizesi uygulaması başlattı. AB Komisyonu tarafından yayınlanan kararda, daha önce Schengen bölgesine giriş çıkışlarını kurallara uygun bir şekilde gerçekleştirmiş olan Türk vatandaşlarını kapsayan yeni uygulamanın, AB üyesi ülkelerin risk oluşturabilecek başvurulara odaklanmalarını sağlayacağı, başvuru sayısının konsolosluklarda yol açtığı kapasite zorluklarını hafifletmeye yardımcı olacağı ve Türk vatandaşları için kolaylık sağlayacak kısmi bir değişiklik öngördüğü ifade edildi. Sistem çerçevesinde 6 aydan 5 yıla kadar geçerlilik süresi olan vizeler verilebileceği ifade edildi.

Önceden sahip olduğu vize süresinin bitişinden itibaren 1 yıl içinde başvuru yapanlara 6 aylık, önceden sahip olduğu 6 aylık vizenin süresinin bitişinden itibaren 2 yıl içinde başvuru yapanlara 1 yıllık, önceden sahip olduğu 1 yıllık vizenin süresinin bitişinden itibaren 2 yıl içinde başvuru yapanlara 3 yıllık, önceden sahip olduğu 3 yıllık vizenin süresinin bitişinden itibaren 2 yıl içinde başvuru yapanlara 5 yıllık olacak şekilde vize verileceği ve uygulamanın ilk kez başvuranları değil, daha önce Schengen bölgesine giriş-çıkışlarını kurallara uygun bir şekilde gerçekleştirmiş Türk vatandaşlarını kapsayacağı vurgulandı.

Karar belgesinde ayrıca, "Vize süresinin başvuru sahibinin seyahat belgesinin geçerlilik süresini aşması durumunda vize süresi, seyahat belgesinin geçerlilik süresinin sona ermesinden en az 3 ay önce bitecek şekilde düzenlenir" denildi.

ARKAS EFES LC WAIKIKI İŞBANK MAQRO nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

15 Temmuz tarihli belgede ayrıca kararın, Belçika, Bulgaristan, Çekya, Almanya, Estonya, Yunanistan, İspanya, Fransa, Hırvatistan, İtalya, Güney Kıbrıs Rum Yönetimi, Letonya, Litvanya, Lüksemburg, Macaristan, Malta, Hollanda, Avusturya, Polonya, Portekiz, Romanya, Slovenya, Slovakya, Finlandiya ve İsveç'te geçerli olduğu kaydedildi.

Belgede, Schengen bölgesinde olmayan ülkelerden İrlanda'nın resmi olarak bu karardan muaf tutulduğu, Schengen üyesi olan, ancak özel bir protokole sahip olan Danimarka'nın ise kararı uygulamak zorunda olmadığı ve uygulamayı seçerse bunu ulusal düzeyde yapabileceği ifade edildi.

Türkiye'de ikamet eden Türk vatandaşları tarafından AB üyesi ülkelerin Türkiye'deki konsolosluklarına yapılan kısa süreli vize başvurularına uygulanacak bu kararın mesleki amaçla vize başvurusunda bulunan tır şoförlerini kapsamadığı da belirtildi.

T.C. Ticaret Bakanı Ömer Bolat da sosyal medya hesabından yaptığı açıklamada, Avrupa Komisyonu tarafından alınan son kararla, vatandaşların Schengen vizesi süreçlerinde uzun süredir beklenen kolaylığın hayata geçtiğini belirtti.

Bolat, "AB nezdinde her platformda, AB Komisyonu'nda, AB Konseyi'nde, Brüksel'de ve üye ülkelerle gerçekleştirdiğimiz ikili görüşmelerde gerekliliğini her fırsatta dile getirdiğimiz bu gelişme, özellikle ihracatçılarımız ve iş insanlarımızın ticari faaliyetlerini daha etkin ve hızlı yürütebilmeleri açısından da önemli bir kazanımdır. Kararın hem milletimize hem de uluslararası ticaret faaliyeti gösteren girişimcilerimize hayırlar getirmesini dilerim" ifadelerini kullandı.

ევროკომისიამ მოამზადა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გაუგზავნა ახალი დოკუმენტი, რომელიც თურქეთის მოქალაქეებისთვის შენგენის ვიზის მიღების გამარტივებასა და დაჩქარებას ითვალისწინებს. განმეორებითი განაცხადის შემთხვევაში ისინი 5 წლამდე მოქმედების მრავალჯერადი ვიზის მიღებას შეძლებენ.

ამის შესახებ თურქეთის ვაჭრობის მინისტრ ომერ ბოლატმა Anadolu-სთან ინტერვიუს დროს განაცხადა.

კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, თურქეთის მოქალაქეებს, რომლებსაც ადრე ვიზა მიღებული აქვთ, რეგულარულად მოგზაურობენ და სამშობლოში დარღვევების გარეშე ბრუნდებიან, მრავალჯერადი და გრძელვადიანი ვიზის მიღების შესაძლებლობა ეძლევათ. ეს ჯერ 6-თვიანი, შემდეგ 1 და 2-წლიანი, მოგვიანებით კი 3 და 5-წლიანი ვიზა იქნება.

ARKAS EFES LC WAIKIKI İŞBANK MAQRO nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

მინისტრის თქმით, სავიზო ბარიერის მოხსნაზე მუშაობის პარალელურად ანკარა, ასევე, ევროკავშირში ტურიზმის, ვაჭრობის, ტრანსპორტის ან განათლების მიზნით მიმავალი თურქეთის მოქალაქეებისთვის პირობების შემსუბუქებას მოითხოვს. კერძოდ, შემცირდეს ლოდინის დრო, საელჩოებსა და საკონსულოებში პერსონალი და ტექნიკური შესაძლებლობები გაიზარდოს, გაფართოვდეს მათი შენობები და კომპიუტერული სისტემები განახლდეს.

ამჟამად თურქეთი ვიზის მიღების გამარტივებაზე იმ მოქალაქეებისთვისაც მუშაობს, ვინც განაცხადს პირველად ავსებს.

„დარწმუნებულები ვართ, უახლოეს მომავალში ვიზების გაცემა პირველადი განაცხადის შემტანთათვისაც გამარტივდება და დაჩქარდება. მთავარია დადგენილი პროცედურების დაცვა," - ამბობს ბოლატი.

ევროკავშირის მონაცემებით, გაცემული შენგენის ვიზების რაოდენობით თურქეთი, ჩინეთის შემდეგ, მსოფლიოში მეორე ქვეყანაა, სადაც წელიწადში მილიონზე მეტი ვიზა გაიცემა, ხოლო უარის საშუალო მაჩვენებელი, დაახლოებით, 15%-ია.

Gürcistan'da Elektrik Enerjisi Üretimi Azaldı

საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავება შემცირდა

2025 Yılının Haziran ayında Gürcistan'da elektrik enerjisi üretimi yıllık bazda %11,2 oranında azalarak 1.343 GWh seviyesinde gerçekleşmiştir. Bu bilgi, "TBC Capital" tarafından yayımlanan piyasa değerlendirme raporunda yer almaktadır.

Rapora göre, söz konusu dönemde yalnızca hidroelektrik santrallerinin üretimi yıllık bazda %11.8 oranında azalarak 1 328 GWh düzeyine gerilemiştir. Öte yandan, rüzgar enerjisi santrallerinden elde edilen üretim %69.2 oranında artarak 9 GWh'ye ulaşmış, termal enerji üretimi ise oldukça sınırlı 6 GWh olarak gerçekleşmiştir.

Elektrik enerjisi tüketimi açısından değerlendirildiğinde, Haziran ayında Gürcistan genelinde toplam tüketim 1 061 GWh olarak kaydedilmiş olup, bu rakam yıllık bazda %3,5'lik bir azalmayı ifade etmektedir.

Haziran ayında perakende tüketim 619 GWh olarak gerçekleşmiş (%-4,3 yıllık), büyük ölçekli tüketiciler tarafından 298 GWh tüketilmiş olup bu segmentte %2.1 oranında bir artış gözlemlenmiştir. Abhazya Özerk Cumhuriyeti'nin elektrik tüketimi ise %10.6 oranında azalarak 143 GWh seviyesinde kalmıştır.

ARKAS EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

Buna ek olarak, 2025 yılının ilk yarısında toplam elektrik üretimi yıllık bazda %9.7 oranında azalarak 6 626 GWh'ye gerilemiştir. Aynı dönemde toplam elektrik tüketimi ise %2.4 oranında artarak 6 915 GWh seviyesine ulaşmıştır. Bu veriler, "TBC Capital" araştırmasında yer almaktadır.

მიმდინარე წლის ივნისში საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავება წლიურად 11.2%-ით შემცირდა და 1 343 გვტ. საათი შეადგინა, - ამის შესახებ აღნიშნულია „თიბისი კაპიტალის" ბაზრის მიმოხილვაში.

კვლევის თანახმად, მხოლოდ ივნისში ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავება წლიურად 11.8%-ით, 1 328 გვტ. საათამდე შემცირდა, ქარის სადგურების გამომუშავება გაიზარდა 69.2%-ით და 9 გვტ. საათს გაუტოლდა, თბოგენერაცია კი მინიმალური, 6 გვტ. საათი იყო.

რაც შეეხება მოხმარებას, მხოლოდ ივნისში საქართველომ 1 061 გვტ. საათი ელექტროენერგია მოიხმარა, რაც წლიურად 3.5%-იანი შემცირებაა.

„საცალო მოხმარება 619 გვტ. საათს გაუტოლდა (-4.3 წ/წ), მსხვილმა მომხმარებლებმა 298 გვტ. საათი მოიხმარეს (+2.1 წ/წ), ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოხმარება 143 გვტ. საათს გაუტოლდა (-10.6% წ/წ).

ამასთანავე, 2025 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერგიის გენერაცია წლიურად 9.7%-ით, 6 626 გვტ. საათამდეა შემცირებული. ამავე პერიოდში ელექტროენერგიის მოხმარებამ 6 915 გვტ. საათი შეადგინა (+2.4 წ/წ)", - აღნიშნულია „თიბისი კაპიტალის" კვლევაში.

Yılın İlk Yarısında İhracat %13,7, İthalat %12.4 Oranında Artış Göstermiştir

წლის 1-ელ ნახევარში ექსპორტი 13.7%-ით, იმპორტი კი 12.4%-ით გაიზარდა

2025 yılının Ocak-Haziran döneminde Gürcistan'ın mal ticaretine dayalı dış ticaret hacmi (beyan edilmemiş ticaret hariç) 11,934 milyar ABD doları olarak gerçekleşmiştir. Bu rakam, önceki yılın aynı dönemine kıyasla %12,8 oranında artış teşkil etmektedir. Söz konusu veriler, Gürcistan Ulusal İstatistik Ofisi (Geostat) tarafından yayımlanmıştır.

Aynı dönemde:

- İhracat 3,234 milyar ABD doları olup, yıllık bazda %13,7 oranında artmıştır.
- İthalat 8,699 milyar ABD dolarına ulaşarak %12,4 oranında artış göstermiştir.

Bu doğrultuda, 2025 yılının ilk yarısında Gürcistan'ın negatif dış ticaret dengesi 5,464 milyar ABD doları olarak kaydedilmiş olup bu rakam toplam dış ticaret hacminin %45,8'ini oluşturmuştur.

Başlıca Dış Ticaret Ortakları

- İhracatta ilk 10 ülkenin toplam payı %79,8 olarak gerçekleşmiştir. En büyük üç ihracat pazarı sırasıyla:
    1. Kırgızistan – 681,3 milyon ABD doları
    2. Kazakistan – 414,0 milyon ABD doları
    3. Azerbaycan – 341,8 milyon ABD doları
- İthalatta ilk 10 ülkenin toplam payı %71,7 olmuştur. En büyük ithalat ortakları:
    1. Türkiye – 1,294 milyar ABD doları
    2. Amerika Birleşik Devletleri – 1,283 milyar ABD doları
    3. Rusya – 950,5 milyon ABD doları
- Genel dış ticaret hacminde ilk 10 ülkenin toplam payı %69,3 olarak kaydedilmiştir. En büyük üç ticaret ortağı:
    1. Türkiye – 1,464 milyar ABD doları
    2. ABD – 1,324 milyar ABD doları
    3. Rusya – 1,282 milyar ABD doları

ARKAS EFES LC WAIKIKI İŞBANK MAQRO nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

Ürün Gruplarına Göre Dış Ticaret

- İhracatta ilk sırayı 1,217 milyar ABD doları ile binek otomobiller almış olup, toplam ihracatın %37,6'sını oluşturmuştur.
- İkinci sırada 174,6 milyon ABD doları ile kıymetli metallerin cevher ve konsantreleri yer almıştır (%5,4).
- Üçüncü sırada 123,2 milyon ABD doları ile alkollü içecekler bulunmuştur (%3,8).
- İthalat tarafında, 1,662 milyar ABD doları ile binek otomobiller yine ilk sırada yer almakta ve toplam ithalatın %19,1'ini oluşturmaktadır.
- İkinci sırada 601,9 milyon ABD doları ile petrol ve petrol ürünleri bulunmaktadır (%6,9).
- Üçüncü sırada ise 481,2 milyon ABD doları ile resim, tablo ve pastel (el yapımı) eserler yer almaktadır (%5,5).

2025 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 11.934 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.8 პროცენტით მეტია. ამის შესახებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ირკვევა.
აქედან ექსპორტი 3.234 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს (გაიზარდა 13.7 პროცენტით), ხოლო იმპორტი 8.699 მლრდ. აშშ დოლარს (გაიზარდა 12.4 პროცენტით).
ამასთან, საქსტატის მონაცემებით, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2025 წლის იანვარ-ივნისში, 5.464 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 45.8 პროცენტია
„2025 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 79.8 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ყირგიზეთი (681.3 მლნ. აშშ დოლარი), ყაზახეთი (414.0 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (341.8 მლნ. აშშ დოლარი).
2025 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 71.7 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1.294 მლრდ. აშშ დოლარი), აშშ (1.283 მლრდ. აშშ დოლარი) და რუსეთი (950.5 მლნ. აშშ დოლარი).
2025 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 69.3 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის

უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1.464 მლრდ. აშშ დოლარი), აშშ (1.324 მლრდ. აშშ დოლარი) და რუსეთი (1.282 მლრდ. აშშ დოლარი).

2025 წლის იანვარ-ივნისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 1.217 მლრდ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 37.6 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები 174.6 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 5.4 პროცენტი), ხოლო სპირტიანი სასმელები მესამე ადგილზეა 123.2 მლნ. აშშ დოლარით (3.8 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2025 წლის იანვარ-ივნისში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 1.662 მლრდ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 19.1 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 601.9 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.9 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა (სურათები, ნახატები და პასტელების (ხელით შესრულებული) 481.2 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5.5 პროცენტი)," - აღნიშნულია „საქსტატის" ინფორმაციაში.

Bu Yıl Gürcistan Sınırını Geçen Tır Sayısı, Geçen Yıla Kıyasla 12 097 Adet Azalmıştır

წელს საქართველოს საზღვარი 12 097 ტრაილერით ნაკლებმა გადაკვეთა

2025 Yılının Ocak-Haziran döneminde, ağır tonajlı araçların (tırların) geçişinden Gürcistan devlet bütçesine 83 050 696 GEL tutarında gelir sağlanmıştır. Bu miktar, 2024 yılının aynı dönemiyle karşılaştırıldığında yaklaşık %5 oranında daha düşük bir seviyeye işaret etmektedir.

2024 Yılının Ocak-Haziran döneminde (konsolide edilmemiş birleşik bütçe verilerine göre), tır geçişlerinden elde edilen gelir 87 284 688 GEL olmuştur.

ARKAS EFES LC WAIKIKI İŞBANK MAQRO nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

Buna göre, 2025 yılının ilk altı ayında yolların kullanım bedeli olarak elde edilen bütçe geliri, bir önceki yılın aynı dönemine kıyasla 4,2 milyon GEL azalmıştır.

Mevcut mali verilere göre, 2024'ün aynı döneminde Gürcistan koridorunu 249 384 tır geçmişken, 2025 yılının ilk yarısında toplam 237 287 tır geçmiştir. Dolayısıyla, 2025 yılında ülke sınırını geçen tır sayısı önceki yıla göre 12 097 adet azalmıştır.

Bilgi notu: Gürcistan sınırını kullanan transit geçişli tırlar için yol kullanım ücreti 350 GEL'dir. Bu tarife, 20 Haziran 2022 itibarıyla yürürlüğe girmiştir. Öncesinde, bu ücret 200 GEL düzeyindeydi.

წელს იანვარ-ივნისში სატვირთო ავტომობილების გატარებიდან ბიუჯეტში 83 050 696 ლარი შევიდა, რაც გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით თითქმის 5%-ით ნაკლები მაჩვენებელია.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების მიხედვით (კონსოლიდაციის გარეშე) 2024 წლის იანვარ-ივნისში ხაზინაში ტრაილერების გატარებიდან 87 284 688 ლარი შევიდა.

შესაბამისად, ბიუჯეტში გზათსარგებლობის საფასურით მიღებული შემოსავალი 2025 წლის 6 თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 4.2 მლნ ლარით შემცირდა.

არსებული ფინანსური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2025 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს დერეფანი 237 287-მა სატვირთომ გადაკვეთა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი 249 384-მა ტრაილერმა. გამოდის, წელს, ქვეყნის საზღვარი 12 097 ტრაილერით ნაკლებმა გადაკვეთა.

ცნობისთვის, საქართველოს საზღვარზე სატრანზიტო ტრაილერებისთვის გზათსარგებლობის მოსაკრებელი 350 ლარს შეადგენს. აღნიშნული ტარიფი 2022 წლის 20 ივნისიდან მოქმედებს. მანამდე მძღოლებს 200 ლარის გადახდა უწევდათ.

Gürcistan Bu Sene Turizm Gelirlerinden 2 Milyar ABD Doları Elde Etmiştir

საქართველომ ტურიზმიდან წელს 2 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო

2025 yılının Ocak-Haziran döneminde uluslararası seyahatlerden elde edilen gelirler yıllık bazda %3,8 artış göstererek neredeyse 2 milyar ABD dolarına (1,971 milyar ABD doları) ulaşmış ve rekor düzeye çıkmıştır. Bu bilgi, Gürcistan Ulusal Turizm İdaresi'nin yayımladığı verilere dayanmaktadır.

Aynı zamanda, 2025 yılının ilk iki çeyreğinde turizm gelirleri, 2019 yılının aynı dönemine kıyasla %35,4 oranında artış göstermiştir.

2025 İkinci Çeyrek Verileri

2025'in ikinci çeyreğinde uluslararası seyahatlerden elde edilen gelirler yıllık bazda %5,0 artarak 1.145 milyon ABD doları ile tüm zamanların en yüksek seviyesine ulaşmıştır.

Ülkelere Göre Gelir Artışı – Ocak-Haziran 2025

Ocak-Haziran döneminde Gürcistan'ın turizm gelirlerinde önemli artışlar kaydedilmiştir:

- İsrail:
  Gelir 66,4 milyon ABD doları artarak %37,9 oranında yükselmiş ve toplamda 241,9 milyon ABD doları olmuştur.

ARKAS EFES LC WAIKIKI İŞBANK MAQRO nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

- Avrupa Birliği ülkeleri ve Birleşik Krallık:
  Gelir 30,7 milyon ABD doları artışla %12,5 oranında büyümüş ve 277,0 milyon ABD doları seviyesine ulaşmıştır.
- Azerbaycan:
  Gelir 24,1 milyon ABD doları artışla %30,7 oranında artarak 102,6 milyon ABD doları olmuştur.
- Suudi Arabistan:
  Gelir 6,2 milyon ABD doları artarak %18,9 oranında artış göstermiş ve 38,8 milyon ABD doları seviyesine ulaşmıştır.
- Ermenistan:
  Gelir 1,8 milyon ABD doları artarak %2,8 oranında yükselmiş ve 66,0 milyon ABD doları olarak kaydedilmiştir.

2025 წლის იანვარ-ივნისში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 3.8%-ით გაიზარდა და რეკორდულ მოცულობას - თითქმის 2 მილიარდ აშშ. დოლარს (1.971 მლნ აშშ დოლარს) გაუტოლდა - ამის შესახებ აღნიშნულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციაში. ამასთან, 2025 წლის ორ კვარტალში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2019 წლის ანალოგიური პერიოდის დონეს 35.4%-ით გადააჭარბა.

„საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები 2025 წლის მეორე კვარტალში წლიურად 5.0%-ით გაიზარდა და რეკორდული მოცულობა - 1,145.0 მილიონი აშშ. დოლარი შეადგინა.

იანვარ-ივნისში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა: ისრაელიდან (გაიზარდა 66.4 მლნ. აშშ. დოლარით, 37.9%-ით და 241.9 მლნ. აშშ შეადგინა) ევროკავშირიდან და დიდი ბრიტანეთიდან (გაიზარდა 30.7 მლნ. აშშ. დოლარით, 12.5%-ით და 277.0 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა), აზერბაიჯანიდან (გაიზარდა 24.1 მლნ. აშშ. დოლარით, 30.7%-ით და 102.6 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა), საუდის არაბეთიდან (გაიზარდა 6.2 მლნ. აშშ. დოლარით, 18.9%-ით და 38.8 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა) და სომხეთიდან (გაიზარდა 1.8 მლნ. აშშ. დოლარით, 2.8%-ით და 66.0 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა)“, - აღნიშნულია ადმინისტრაციის ინფორმაციაში.